მომავლის ფერმერის აქტივობები 2022

2022 წლის განმავლობაში მომავლის ფერმერი ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მხარდაჭერით შემდეგ მიმართულებებზე მუშაობდა:

- ფიტოსანიტარული შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში
- სოფლის მეურნეობის ექსტენციის პროექტი
- PYD - ახალგაზრდობის პოზიტიური განვითარება
- GATE - საქართველოს აკვაკულტურა - კალმახის ექსტენცია

ზემოაღნიშნული პროექტების ფარგლებში მომავლის ფერმერის გუნდის მიერ განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები და აქტივობები:

- **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის - პროფესიული განათლების დეპარტამენტის ბაზაზე მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სასწავლო/გადამზადების პროგრამის მომზადება.**

  პროგრამამ უკვე გაიარა აკრედიტაცია. მისი განხორციელება 2023 წლიდან იგეგმება. სასწავლო კურსის მიზანია მცენარეთა დაცვის სფეროში შესაბამისი კომპეტენციების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. პროექტში ჩართული ექსპერტების მიერ მომზადდა სასწავლო პროგრამა იმგვარად, რომ კურსის დამსწრეები შეძლებენ შესაბამისი წესების დაცვით გაატარონ მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებები, მიიღონ ინფორმაცია ფიტოსანიტარიის საერთაშორისო და ეროვნული რეგულაციების შესახებ, სწორად შეარჩიონ მცენარეთა დაცვის მეთოდები და საშუალებები და გამოიყენონ ისინი უსაფრთხოების წესების დაცვით. კურსის ფარგლებში შერჩეული კულტურებია: სუბტროპიკული ხილი, თხილი, კენკრა, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები, რომლებიც ძირითადად დამახასიათებელია აჭარის რეგიონისთვის.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მცენარეთა ინტეგრირებული მართვის მომზადება/გადამზადების პროგრამა

- **აგრო გაიდლაინების მომზადება 4 კულტურის ინტეგრირებული დაცვის სქემების შესახებ: თხილი, ციტრუსი, კარტოფილი, თესლოვანი ხილი.**

  გაიდლაინები მომზადდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტთან თანამშრომლობით. დაიბეჭდა 500 ერთეული ბროშურა - 125 ერთეული თითოეული კულტურისათვის, რაც დარიგდა ფერმერებს შორის გორისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში ჩატარებული ტრენინგების დროს, ასევე გავრცელდა ონლაინ ვერსიები სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით, როგორიცაა FOF-ის ვებგვერდი, FB გვერდი და სურსათის ეროვნული სააგენტოს გვერდი.

  აგრო გაიდლაინი არის სეზონური სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავს დეტალურ ინფორმაციას შერჩეულ კულტურებში გავრცელებული მავნებლების შესახებ, ასევე პრაქტიკულ რჩევებს მავნებლების იდენტიფიცირების შესახებ თვეების მიხედვით და სეზონური საქმიანობის საჭიროებების მიხედვით. ონლაინ სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულებზე:

  თხილი
  https://fof.edu.ge/uploads/agromgzamkvlevi_txili.pdf?fbclid=IwAR1tHePXUavdZpC0ZzNHEvV9Rc_x_PeVWv4G1tgfL881EGx7c3cZE4tVTiU
  ციტრუსი
  https://fof.edu.ge/uploads/agromgzamkvlevi_citrusi.pdf?fbclid=IwAR3RSuxgMFrCvSUFzKgsbRvGT1KVxNYTS7vxjoH7fzM-HmJb1Xnl3o4_mhw
  კარტოფილი
  https://fof.edu.ge/uploads/agrogzamkvlevi_kartofili.pdf?fbclid=IwAR1O-GVXuj56ZprtQdnKOlgLQFbiQ5ouyVrySubJU6isScfYbybA63Oj0iA
  თესლოვანი ხილი
  https://fof.edu.ge/uploads/agrogzamkvlevi_teslovani.pdf?fbclid=IwAR2L0R1VqVQIaZ7bTh5HNImhXvAo99mtCDmmeQEgK5DIJFRms7X6DdIFW8Q

- **ტრენინგები ფერმერებისთვის და პროდუქტების მომწოდებლებისთვის პესტიციდების გამოყენების შესახებ.**

  ჩატარდა ტრენინგების სერია საქართველოს ორ მუნიციპალიტეტში: გორსა და მარნეულში, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი ფერმერები, პესტიციდების ჯაჭვის მონაწილეები და სურსათის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი სერვის ცენტრის წარმომადგენლები - ჯამში 40 მონაწილე, რომელთაც გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები. ტრენინგს უძღვებოდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსი.

  პროგრამა ითვალისწინებს ტრენინგს ფერმერებისთვის, კონსულტანტებისთვის და პესტიციდების სარეალიზაციო მაღაზიებში მომუშავე პერსონალისთვის, ასევე, პესტიციდების გავრცელების ჯაჭვთან დაკავშირებული სხვა მხარეებისთვის. ტრენინგებზე მიწოდებული იქნა ინფორმაცია მცენარეთა დაცვის საშუალებების შერჩევის, შეძენის, შენახვის, ეტიკეტირების, ეფექტური და უსაფრთხო გამოყენების შესახებ, ასევე საქართველოს კანონმდებლობის შესახებ, რომელიც არეგულირებს აღნიშნულ საკითხებს. ასევე განიხილეს მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული მეთოდების არსი - აგროტექნიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, მექანიკური და სხვა.

- **16 მაისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიმართა მცენარეთა დაცვის ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს მე-6 სხდომა,** რომელსაც 27 მონაწილე დაესწრო. საბჭო შეიქმნა ფიტოსანიტარიული შესაძლებლობების განვითარების პროექტის ფარგლებში, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მხარდაჭერით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით. მისი მიზანია ერთი მაგიდის გარშემო გააერთიანოს დარგის სპეციალისტები, რათა მიღებული იქნას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საქართველოში მცენარეთა დაცვის სექტორის განვითარებისა და გაძლიერებისათვის. სამეთვალყურეო საბჭო 2019 წელს შეიქმნა მომავლის ფერმერის ორგანიზებითა და კოორდინაციით.

- **მავნებელთა ინტეგრირებული მართვა - IPM ვორქშოფი თბილისში**

  23 აგვისტოს, მომავლის ფერმერის ორგანიზებით თბილისში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი, სადაც ფრეზნოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ფართო აუდიტორიას წარუდგინეს მათ მიერ მომზადებული მავნებლების ინტეგრირებული მართვის - IPM მოდულები და მისი გამოყენების ინსტრუქციები. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდა 50 მონაწილე, მათ შორის მინისტრის პირველი მოადგილე, სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი, ლაბორატორიის, სოფლის განვითარების სააგენტოს, სურსათის ეროვნული სააგენტოს, შემოსავლების სამსახურის ექსპერტები, სპეციალისტები და სხვა დაინტერესებული მხარეები კერძო და სახელმწიფო უწყებებიდან.

  მავნებლების ინტეგრირებული მართვა (IPM) არის მონაცემების საფუძველზე მეცნიერულად შემუშავებული გადაწყვეტილების მიღების სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს მწარმოებლებს დაეხმაროს მავნებლების მართვის ტაქტიკის შერჩევაში, ცალკე ან კომბინირებულად. IPM-ის მიზანია მავნებლების პოპულაციების გრძელვადიანი, მდგრადი მენეჯმენტის უზრუნველყოფა, რაც ამცირებს რისკს, უზრუნველყოფს ეკონომიკურ სტაბილურობას, გარემოს ხარისხისა და ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

- **IPM და IPP პროგრამების წარდგენა ბათუმში**

  26 აგვისტოს ბათუმში მოეწყო სემინარი, სადაც FOF-ის ექსპერტებმა და სპეციალისტებმა ფართო აუდიტორიას და პოტენციურ დამსწრეებს წარუდგინეს მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის - IPP პროგრამა. შეხვედრას ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აგროსერვის ცენტრის წარმომადგენლები, სურსათის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ექსპერტები და ახალგაზრდა აგრონომები.

  ამავე შეხვედრაზე ფრეზნოს უნივერსიტეტის ექსპერტებმა წარადგინეს მავნებლების ინტეგრირებული მართვის - IPM მოდულები.

  ღონისძიებაში სულ 30-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და წარმოადგინა თავისი მოსაზრება და რეკომენდაციები წარდგენილი სასწავლო პროგრამების შესახებ.

- **საერთაშორისო პარტნიორების ვიზიტები საქართველოში**

- **საერთაშორისო ექსპერტების ვიზიტი აჭარის რეგიონის თევზსაშენებში**
  აიდაჰოსა და მისისიპის სახელმწიფო უნივერსიტეტების ექსპერტები საქართველოს, კერძოდ აჭარის რეგიონს ეწვივნენ და სამუშაო შეხვედრები ჩაატარეს აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტისა და მომავლის ფერმერის გუნდებთან ერთად. ვიზიტის მიზანი იყო რეგიონის თევზის/კალმახის მწარმოებელ ფერმერებთან შეხვედრა, მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების ანალიზი. შეგროვებული ინფორმაცია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მეთევზეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის პროცესში.
  სტუმრები შეხვდნენ თევზჭერის ინდუსტრიაში ჩართული სხვადასხვა ადგილობრივი დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს. ასევე, ინტენსიური ვიზიტები განხორციელდა თევზის მეურნეობებში ხულოს, ქედის, ქობულეთის მუნიციპალიტეტებში.

- **აიდაჰოსა და მისისიპის უნივერსიტეტის წარმომადგენლების სემინარი ბათუმში**
  სამუშაო ვიზიტის შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა გაიმართა ბათუმში, სადაც აიდაჰოსა და მისისიპის სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს თავიანთი ხედვები და რეკომენდაციები აჭარაში მეთევზეობის სექტორის განვითარების მხარდასაჭერად. ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები და დარგის სპეციალისტები, მათ შორის: მეთევზე ფერმერები, საკვებისა და მედიკამენტების მომწოდებლები, ასოციაცია ფორეჯი, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წარმომადგენლები.
  ღონისძიება ჩაატარა „მომავლის ფერმერმა“ აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მხარდაჭერით, სოფლის მეურნეობის ექსტენციის პროექტის ფარგლებში. პროექტი აჭარაში ხორციელდება და აერთიანებს ორ ძირითად მიმართულებას, როგორიცაა: ახალგაზრდების ჩართულობა სოფლის მეურნეობაში და მეთევზეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა.

- **აგროკლინიკა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე – PYD (ახალგაზრდების პოზიტიური განვითარების) პროექტი**

  საქართველოს პოზიტიური ახალგაზრდობის განვითარების პროგრამა (GPYD) იქნება ადგილობრივ დონეზე მორგებული, ეროვნული განვითარების პროგრამა, სადაც ახალგაზრდები და მოზარდები ერთად მუშაობენ, რათა შექმნან მდგრადი ცვლილებები ადგილობრივ თემებში.

  მზადდება აგროკლინიკის კონცეფცია, რომელიც იქნება ექსტენციისა და განათლების ცენტრი რეგიონში, გააერთიანებს აგრობიზნესის ახალგაზრდა სპეციალისტებსა და პროფესიონალებს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოთქვამს მზაობას იდეის მხარდასაჭერად საკუთარი სამუშაო სივრცითა და პერსონალის საშუალებით.

  ახალგაზრდების ჩართულობის სტრატეგიების მეშვეობით ახალგაზრდები და მოზარდები შეიძენენ ლიდერობისა და პიროვნული განვითარების უნარებს „სწავლა-კეთებით“ მეთოდის გამოყენებით.

- სოფლის მეურნეობის ექსტენციის მოკლევადიანი კურსი – ონლაინ ტრენინგები

  12-16 დეკემბრის კვირაში მომავლის ფერმერის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგების სერია, რომელსაც უძღვებოდნენ აშშ-ს აგრარული უნივერსიტეტისა და ცენტრალური სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერტები. 5 დღიანი ტრენინგი მოიცავდა შემდეგ თემებს:

  - თანამშრომლობითი ექსტენციის სისტემის მიმოხილვა და მეთოდოლოგია;
  - ექსტენციის ურთიერთობები: როლები და პასუხისმგებლობები;
  - ექსტენციის პროგრამირების პროცესი.

  მონაწილეებს შეეძლოთ მონაწილეობა კითხვა-პასუხის სესიებში და უშუალოდ ტრენერებისთვის დაესვათ მათთვის საინტერესო კითხვები. სულ ტრენინგს 80-ზე მეტი ადამიანი დაესწრო. ყველაზე აქტიური მონაწილეები დაჯილდოვდებიან სერტიფიკატებით.



- ***ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა***

"მომავლის ფერმერი" Agro Batumi 2022-ის მონაწილე

დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ ინფორმაციას ორგანიზაციის საქმიანობის, პრიორიტეტული მიმართულებებისა და სერვისების შესახებ. Agro Batumi 2022 გამოფენის მიზანია, სოფლის მეურნეობაში აქტიურად ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივი წარმომადგენლების ერთ სივრცეში გაერთიანება, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციების შესახებ ინფორმაციის გაცვლასა და ახალი პარტნიორული ურთიერთბების ჩამოყალიბებას.

"მომავლის ფერმერმა" მონაწილეობა მიიღო „მესაქონლეობის ექსპო 2022-ში".

დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ინფორმაციას ორგანიზაციის საქმიანობის, პრიორიტეტული მიმართულებებისა და სერვისების შესახებ. მესაქონლეობის ექსპოს მიზანია ხელი შეუწყოს მსხვილფეხა საქონლის რძისა და ხორცის პროდუქტების ადგილობრივ წარმოებას, ვაჭრობის პოტენციალის გაზრდას და ფერმერთა ტექნიკური უნარებისა და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების განვითარებას, გააცნოს და დააკავშიროს სფეროში ჩართული სპეციალისტები და ფერმერები.

მომავლის ფერმერის გუნდი მადლობას უხდის პარტნიორ ორგანიზაციებს, განეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც მოგვეცემა შესაძლებლობა, ჩვენი ცოდნისა და გამოცდილების დარგის სასიკეთოდ გამოყენებისათვის.

FOF

მომავლის ფერმერი

www.fof.ge

www.fof.edu.ge

info@fof.edu.ge